სილქნეტი
SILKNET
ყველაფერი კავშირშია

1265/24-9

„07" 07 2017

მოქალაქე მამუკა კაპანაძეს, მისამართი: ქ. თბილისი
შანდორ პეტეფის N:27, ტელ: 599-91-81-91

ბატონო მამუკა,

თქვენგან შემოსული წერილი (9/1752 – 03/07/2017)-ს თანახმა, რომელიც მოიცავს თქვენს მოთხოვნას, გაცნობოთ სს „სილქნეტი"-ს კუთვნილი კომუნიკაციის არსებობის შესახებ ინფორმაცია, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისში შანდორ პეტეფის N:27-ის მიმდებარე ტერიტორია (ს/კ: ო1.17.10.005.082).

მოგახსენებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ ტერიტორიაზე სს „სილქნეტი"-ს კომუნიკაციები განთავსებული არ არის.

იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდება სს „სილქნეტი"-ს კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, გამცხადებელი (სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

- დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;
- აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს "სილქნეტის" წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახური ნომრებზე: 2950029 ან 2932740.
- წარმოადგინოს სამუშაოების ამსახველი პროექტი სს „სილქნეტში" შეთანხმების მისაღებად.

დანართი: 1. საკადასტრო გეგმა 1-ფურცელი

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
რევაზ ღვინიაშვილი

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.17.10.005.082**

განცხადების ნომერი: **882017070422**

მომზადების თარიღი: **02/02/2017**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **1304 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



წერილის ნომერი: **18-01190353793**
თარიღი: **04/02/2019**
პინი: **8406**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 29 იანვრის №60-0119029222 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ლუკა ღუდუშაურის №AR1651646 განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს, შპს „ვაზისუბანი-18“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე (ქალაქ თბილისი, ქუჩა შანდორ ფეტეფის, N27, ს.კ.:01.17.10.005.082; ფუნქციური ზონა: სსზ-1) IV კლასის მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას).

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები რაოდენობის, 12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა ან/და გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ნებართვის გაცემას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ვინაიდან განმცხადებლის მიერ მოსაჭრელად ან/და გადასარგველად მოთხოვნილი მწვანე ნარგავები, კერძოდ, 1 ძირი ბალი (N1), 1 ძირი ვაშლი (N11), 2 ძირი ხურმა (N12,18), 2 ძირი ჭერამი (N5,7), 2 ძირი ბროწეული (4,13), 3 ძირი ალუბალი (N11,22,23), 4 ძირი ქლიავი (N13,16,21,25) და 5 ძირი ლეღვი (N9,29,31,32,33), სულ - 20 (ოცი) ერთეული მცენარე, რომელთაგან მხოლოდ 10 ძირი მცენარის დიამეტრი აღემატება 12 სმ-ს, განეკუთნება ხილ-კენკროვანთა ჯგუფს, შესაბამისად, განმცხადებელს არ სჭირდება სამსახურის ნებართვა იმისთვის, რომ მოჭრას ან/და გადარგოს აღნიშნული ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავები.

ასევე გაცნობებთ, რომ თუ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანის გარდა უნებართვოდ მოიჭრება სხვა სახეობის ხე-მცენარე, თქვენ სამართალდამრღვევის მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რაც შეეხება, სხვა სახეობის მწვანე ნარგავის გადარგვის საკითხს, მოგახსენებთ, რომ დადგენილების 21-ე მუხლის შესაბამისად და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, გადასარგველად მოთხოვნილი 2 ძირი თეთრი თუთა (№19-დ.8.5-9სმ; №24-დ.12სმ;) განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე, რომლებიც არიან კარგად განვითარებული საღი ეგზემპლარები, აქვთ საშუალო სიდიდის დიამეტრები, და ალბათობა იმისა, რომ მოცემული მწვანე ნარგავების გადარგვის შემთხვევაში ისინი გაიხარებენ, არის საკმაოდ მაღალი. შესაბამისად, სამსახური თანახმაა გასცეს აღნიშნული 2 ერთეული თუთის, იმავე საკადასტრო ერთეულში (ქალაქ თბილისი, ქუჩა შანდორ ფეტეფის, N27, ს.კ.:01.17.10.005.082;) გადარგვის ნებართვა, მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოადგენს, სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის წერილობით ნებართვას გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

აქვე დავძენთ, რომ მწვანე ნარგავების გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, სამ თვეში ერთხელ წერილობით, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

აქვე გაცნობებთ, რომ გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში გადარგული მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში განმცხადებელს დაეკისრება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელება-საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

რაც შეეხება 1 ძირი თუთის (№34) საკითხს, გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, მოცემული ხე არის დიდი დიამეტრის მქონე (63სმ). ტექნიკური პირობების გათვალისწინებით მათი ბუნებრივი გარემოდან ამოღება/დარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას, ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს ნებართვის გაცემის საკითხზე, თქვენ უნდა წარმოადგინოთ უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ პირისგან, ვინც განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს და გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა.

მოსაჭრელად მოთხოვილ ხეებთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე და წარმოდგენილი მწვანე ნარგავების საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, 2 ძირი ალვის ხე (N26-დ.152სმ; N27-დ.95სმ;) და 1 ძირი კანადური ვერხვი (N17-დ.113სმ), სულ - 3 ერთეული ხე არის ხმობადი, ზეხმელი და ქარქცევადი, რომლებიც მდებარეობენ სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე. შესაბამისად, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიიდან ხმობადი, ზეხმელი და ქარქცევადი ხეების გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა გასცეს, მოცემული 2 ძირი ალვის ხისა (N26-დ.152სმ; N27-დ.95სმ;) და 1 ძირი კანადური ვერხვის (N17-დ.113სმ) მოჭრის ნებართვა მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოადგენს სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვასა და დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.

აქვე, გაცნობებთ, რომ ნებართვის მიღების შემდგომ დაინტერესებულ პირს ევალება საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 3 (სამი) ძირი, არანაკლებ 3,5 მ სიმაღლის ფოთლოვანი ან/ და არანაკლებ 3 მ სიმაღლის წიწვოვანი ნერგის დარგვა (ნერგის გარეშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი). დასარგავი ხე-მცენარის სახეობა უნდა აირჩიოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან. საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს იმავე საკადასტრო მიწაზე (ქალაქ თბილისი, ქუჩა შანდორ ფეტეფის, N27, ს.კ.:01.17.10.005.082) ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

აგრეთვე, მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის

შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით (კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვის გარდა).

განმცხადებელი ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების საკომპენსაციო რგვის ვალდებულება არ ჩაითვლება შესრულებულად.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების დარგვა არ ჩაითვლება შესრულებულად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ სამ თვეში ერთხელ დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დარგული ხის მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აგრეთვე, მოგახსენებთ, რომ გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში დარგული მწვანე ნარგავის გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელება-საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

გარდა ამისა, რაც შეეხება 2 ძირი პატარა დიამეტრის მქონე საღი თეთრი თუთის (N28-დ.13.5სმ; N30-დ.12.5სმ;) საკითხს, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ “ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე, წარმოდგენილი მწვანე ნარგავების საექსპერტო დასკვნისა და სამსახურის 2017 წლის 29 დეკემბრის N18-01173631735 წერილის შესაბამისად, ვინაიდან, აღნიშნული 2 ძირი ხე მდებარეობს შენობის განთავსების ადგილზე, სამსახური თანახმაა გასცეს მათი მოჭრის ნებართვა მას შემდეგ, რაც განმცხადებელი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოადგენს სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვას/წერილობით თანხმობასა და აღდგენითი ღირებულების გადახდის დამადასტურებელ ქვითარს.

განმცხადებელს მწვანე ნარგავების (2 ძირი თეთრი თუთის) ჭრის ნებართვის მისაღებად ეკისრება ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო აღდგენითი ღირებულების გადასახადი, რომელიც კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის (ცხრილი 1-ის) შესაბამისად, შეადგენს 512 (ხუთას თორმეტი) ლარს. აღნიშნული თანხა დაინტერესებულმა პირმა უნდა შეიტანოს ერთიან სახაზინო ანგარიშზე (სახაზინო კოდი - №30773292 ბანკის კოდი-TRESGE22).

ამდენად, იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სათანადო დოკუმენტაცია.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01190522613**
თარიღი: **21/02/2019**
პინი: **7128**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 14 თებერვლის №60-011904526 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ლუკა ღუდუშაურის №AR1651646 განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს, შპს „ვაზისუბანი-18“-ის კუთვნილ ტერიტორიაზე (ქალაქ თბილისი, ქუჩა შანდორ ფეტეფის, N27, ს.კ.:01.17.10.005.082; ფუნქციური ზონა: სსზ-1) IV კლასის მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას).

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 21-ე მუხლის შესაბამისად და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის (მათ შორის, დიდი დიამეტრის მქონე მწვანე ნარგავის გადარგვის მეთოდოლოგიის (ტექნიკური დოკუმენტაციის)) გათვალისწინებით, გადასარგავად მოთხოვნილი 1 ძირი საღი თუთა (№34-დ.63სმ) განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე, რომელიც არის კარგად განვითარებული საღი ეგზემპლარი და ალბათობა იმისა, რომ მოცემული მწვანე ნარგავის გადარგვის შემთხვევაში ის გაიხარებს, არის საკმაოდ მაღალი. შესაბამისად, სამსახური თანახმაა გასცეს აღნიშნული 1 ძირი მწვანე ნარგავის, იმავე საკადასტრო ერთეულში (ქალაქ თბილისი, ქუჩა შანდორ ფეტეფის, N27, ს.კ.:01.17.10.005.082) გადარგვის ნებართვა, მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოადგენს, სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის წერილობით ნებართვას გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

აქვე დავძენთ, რომ მწვანე ნარგავის გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

მწვანე ნარგავის გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავის მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, სამ თვეში ერთხელ, განმცხადებელმა წერილობით უნდა წარმოადგინოს გადარგული მცენარის მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტო-მასალა.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავის გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

აქვე გაცნობებთ, რომ გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში გადარგული მწვანე ნარგავის გახმობის შემთხვევაში განმცხადებელს დაეკისრება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების- საკომპენსაციო რგვის განხორციელების

ვალდებულება.

რაც შეეხება სხვა მწვანე ნარგავების საკითხს, მოგახსენებთ, რომ სამსახურმა 2019 წლის 04 თებერვლის N18-01190353793 წერილის შესაბამისად, უკვე დააფიქსირა პოზიცია.

აქედან გამომდინარე, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

დამატებით გაცნობებთ, რომ II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი (გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული), სადაც განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

აგრეთვე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე, სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით (გარდა, კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვისა).

განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები, ასევე, გასაშენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 7 19 00408280

16/02/2019

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირვლადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2019 წლის 14 თებერვლის N 60-0119045271 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 14.02.2019 N386133) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ქუჩა სანდორ პეტეფის N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.10.005.082) მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაცია, სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის ნაწილში.

მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისათვის განხილვას დაექვემდებარა მრავალფუნქციური კომპლექსის შენობა-ნაგებობებთან სახანძრო ტექნიკისათვის განკუთვნილი მისასვლელების და გასასვლელების მოწყობის, შენობა-ნაგებობებს შორის არსებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების, ასევე გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნების დაცვა:

1.შენობების გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას გარე ხანძარსაწინააღმდეგო რგოლური წყალგაყვანილობის არანაკლებ 100 მმ ქსელის მოწყობა, სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟით. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელზე სახანძრო ჰიდრანტები დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7
ტელ: (+995 032) 2 28 78 40
ელ.ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№ 7, Ingorokva str. Tbilisi 0114, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 28 78 40
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. სახანძრო ჰიდრანტები ქსელზე ისე უნდა განთავსდეს, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იქნას ხანძრის ჩაქრობა შენობის ნებისმიერ სათავსში. იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების უბანში არსებობს წყალგაყვანილობის ქსელი და ქსელზე დასაპროექტებელი შენობიდან 200 მეტრის რადიუსში უკვე დამონტაჟებულია სახანძრო ჰიდრანტი, შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის ახალი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა საჭირო არ არის.

საფუძველი: SP 8.13130.2009 პუნქტი 5.2 ცხრილი 2, პუნქტი 8.6; 8.10

2.SP 8.13130.2009 4.1 პუნქტის „შენიშვნის“ პირველი პუნქტის შესაბამისად განაშენიანების ტერიტორიაზე წყალგაყვანილობის არარსებობის შემთხვევაში, გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება უნდა განხორციელდეს სახანძრო რეზერვუარის მოწყობის გზით და დადგენილი წესით განისაზღვროს მისი მოცულობა.

3. სახანძრო ჰიდრანტის (წყლის რეზერვუარის), აგრეთვე მათთან მისასვლელი გზების ადგილმდებარეობა აღინიშნოს სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებით (მოცულობითი შუქსიგნალიანი ან ბრტყელი, დამზადებული შუქამრეკლი საფარების გამოყენებით).

საფუძველი: „ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.

4. ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებამდე დამოკიდებულია ამ შენობა-ნაგებობების ცეცხლმედეგობის ხარისხსა და მათ ფუნქციურ დანიშნულებაზე, ხოლო წარმოდგენილ სამშენებლო დოკუმენტაციაში მითითებული არ არის მიმდებარე შენობა-ნაგებობები და არც მათი ხანძარსაშიში და ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად არც მათ შორის არსებული კონკრეტული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, აუცილებელია ამ ინფორმაციის მოპოვება, რის შემდეგ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი დასაპროექტებელ და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის განისაზღვროს SP 4.13130.2013-ის და სხვა სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ადგენენ ამ მანძილებს.

5. გათვალისწინებული უნდა იქნეს შენობასთან, მისასვლელი გზის მოწყობა სახანძრო ავტომობილებისათვის, სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად. სახანძრო ავტომობილების გასასვლელი გზების სიგანე და მანძილი გზის შიდა კიდიდან შენობის კედლამდე მიღებული უნდა იქნას სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად, ხოლო გზის საფარის კონსტრუქცია გათვლილი უნდა იქნას სახანძრო ავტომობილების დატვირთვაზე. ამ ზონაში დაუშვებელია შემოღობვის მოწყობა, ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზების გაყვანა და მწვანე ნარგავების რიგში დარგვა.

საფუძველი: SP 4.13130.2013 პ.პ 8.1; 8.6; 8.8 8.9.

6. გათვალისწინდეს, რომ თუ სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების შესაბამისად მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის სათავსები დაცული უნდა იქნას ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემით, შესაბამისად საჭირო გახდება შენობაში ან შენობის გარეთ ადგილის გამოყოფა ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის სახანძრო რეზერვუარისათვის და სატუმბო სადგურისათვის.

ასევე გათვალისწინებული იქნეს, რომ ვინაიდან მშენებლობის ნებართვის გაცემის II სტადიის პროცესში, როგორც წესი შენობების, ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნოლოგიური სქემების დონეზე, ხოლო ტექნოლოგიური სქემები არ შეიცავს სათანადო ინფორმაციას და მონაცემებს (როგორც ტექსტურს ისე გრაფიკულს) შენობაში მოსაწყობ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შესახებ (სათანადო ინფორმაციასა და მონაცემების განზოგადოება კი წარმოებს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის შემუშავების გზით), ამასთან ერთად რადგანაც შეუძლებელია ამ სისტემების ტექნოლოგიური სქემებით

მოხდეს შენობაში მოსაწყობი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე სამსახურს აუცილებლად მიაჩნია, შემუშავებული იქნას შენობის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია და დადგენილი წესის თანახმად წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომელებიც მათ შორის უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობის პროექტს;

ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობის პროექტს;

გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;

დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტს;

ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;

ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტს;

ზ) ხანძარსაწინააღმდეგო დანაყოფების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ლიფტის პროექტს (მისი საჭიროების შემთხვევაში) ;

თ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტს;

ი) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის მოწყობის პროექტს;

გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნების განხილვის შედეგად წერილში აღნიშნული შენიშვნა-წინადადებების თანახმად, დაპროექტების დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, როგორც წესი შეფერხდება სანებართვო პროცესის მეორე სტადიისათვის წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის განხილვის პროცედურა და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის ნაწილში დასკვნის მომზადება.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის აუცილებელია მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა სამშენებლო დოკუმენტაციაში და კორექტირებული პროექტი წარმოდგენილი იქნეს მშენებლობის სანებართვო პროცესის მეორე სტადიაზე.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
როინ ვარშანიძე